სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია გურჯისტანის ვილაიეთის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. კვლევისათვის გამოყენებულია ს. ჯიქიას მიერ თურქული ხელნაწერი ძეგლის ქართული თარგმანი [1941] და ალ. ასლანიკაშვილის „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“, მასშტაბი 1:300, 000 [1953].

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გურჯისტანის ვილაიეთის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა და მიღებული შედეგების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროფილის რუკების შედგენა. გის-ტექნოლოგიების გამოყენებით დადგინდა გურჯისტანის ვილაიეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების თავისებურებანი. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი. აგრეთვე, გაკეთებულია ზოგადი მიმოხილვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

გურჯისტანის ვილაიეთში მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო. თითოეულ სოფელს დაკისრებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც მარცვლოვან და პარკოსან კულტურებზე (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, შირა), ისე მეცხოველეობის რომელიმე დარგზე (ფუტკარი, ღორი, ცხვარი). გადასახადის სახეობა განპირობებული იყო იმით, თუ რომელ სოფელში რომელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იყო უკეთ განვითარებული.

ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ლივების, რაიონების და სოფლების დონეზე გადასახადის რაოდენობები თითოეულ კულტურაზე. აგრეთვე, აღრიცხულია ის სოფლებიც, სადაც არ იყო გადასახადები. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ვაზის კულტურის ტერიტორიული განაწილება. მიღებული შედეგები წარმოდგენილია კარტოგრამების, კარტოდიაგრამების და დიაგრამების სახით.